

შპს „დ.ს. ესთეით“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს „დ.ს. ესთეით“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6 - 17

შპს „დ.ს. ესთეით“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	განმარტებითი შენიშვნები	31.დეკ.19	31.დეკ.18
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	56 587	64 962
დებიტორული მოთხოვნები	7	14 037	43 044
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	462 806	524 482
გაცემული სესხები	9	-	-
წინასწარ გადახდილი თანხები	10	75 582	403 368
საგადასახადო აქტივები, მოგების გადასახადის გარდა		54 048	7 411
სულ მიმდინარე აქტივები		663 061	1 043 267
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები		9 576	12 288
გაცემული სესხები		-	-
ძირითადი საშუალებები	11	11 064 684	11 105 126
სულ გრძელვადიანი აქტივები		11 074 260	11 117 414
სულ აქტივები		11 737 320	12 160 681
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	12	1 325 981	1 450 825
მოგების გადასახადის ვალდებულება		11 172	46 302
სხვა საგადასახადო ვალდებულება, მოგების გადასახადის გარდა		119 374	-
მიღებული სესხები	13	978 767	749 299
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	2 435 295	2 246 426
მიღებული სესხები	13	16 972 087	15 810 816
სულ ვალდებულებები		19 407 382	18 057 242
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	100	100
აკუმულირებული ზარალი		(7 670 162)	(5 896 661)
სულ კაპიტალი		(7 670 062)	(5 896 561)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11 737 320	12 160 681

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი

გიორგი ფეხუაშვილი

თბილისი, საქართველო

25 სექტემბერი, 2020

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	განმარტებითი შენიშვნები	2019	2018
შემოსავლები	15	5 954 592	4 791 103
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16	(3 153 344)	(2 518 181)
საერთო მოგება		2 801 249	2 272 922
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(803 449)	(852 281)
სხვა საოპერაციო ხარჯები	18	(479 265)	(448 983)
სხვა საოპერაციო შემოსავალი			56 595
საოპერაციო მოგება		1 518 535	1 028 253
საპროცენტო შემოსავალი	9		12 725
საპროცენტო ხარჯი	13	(1 848 559)	(1 598 456)
საკუროსო მოგება / (ზარალი)	19	(1 263 052)	(610 418)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	20		142 097
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(174 077)	(60 508)
ზარალი დაბეგვრამდე		(1 767 153)	(1 086 308)
მოგების გადასახადის ხარჯი		(6 347)	(6 226)
წლის წმინდა ზარალი		(1 773 501)	(1 092 534)
სხვა სრული შემოსავალი			
წლის სრული ზარალი		(1 773 501)	(1 092 534)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი

გიორგი ფეხუაშვილი

თბილისი, საქართველო

25 სექტემბერი, 2020

შპს „დ.ს. ესთეით“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
31.დეკ.17	100	-4 804 127	-4 804 027
წლის სრული ზარალი		-1 092 534	-1 092 534
31.დეკ.18	100	-5 896 661	-5 896 561
წლის სრული ზარალი		-1 773 501	-1 773 501
31.დეკ.19	100	-7 670 162	-7 670 062

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი

გიორგი ფეზუაშვილი



თბილისი, საქართველო

25 სექტემბერი, 2020

შპს „დ.ს. ესთეით“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებელისგან მიღებული ფულადი სახსრები	6 834 863	4 887 827
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(2 677 163)	(2 249 405)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(829 928)	(860 385)
გადახდილი ავანსები	(136 663)	(243 235)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტამდე და დაბეგვრამდე	3 191 109	1 534 802
გადახდილი გადასახადები	(1 191 386)	(602 266)
მიღებული პროცენტი		26 146
გადახდილი პროცენტი	(1 728 587)	(1 623 744)
მიღებული ავანსები	84 273	
წმინდა ფულადი საშუალებების შემოძინება / (გადინება) საოპერაციო საქმიანობებიდან	355 408	(665 063)
ფულადი საშუალებების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობებიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(359 635)	(1 180 417)
გაცემული სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები		459 380
წმინდა ფულადი საშუალებების შემოძინება / (გადინება) საინვესტიციო საქმიანობებიდან	(359 635)	(721 037)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან		
ფულადი ნაკადების მიღება ნასესხები სახსრებიდან		1 127 747
წმინდა ფულადი ნაკადების შემოძინება / (გადინება) საფინანსო საქმიანობებიდან		1 127 747
ფულადი საშუალებების და მისი ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)	(4 227)	(258 353)
ფულადი საშუალებები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	64 962	316 344
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება / (ზარალი) ფული და ფულის ეკვივალენტებიდან	(4 148)	6 971
ფულადი საშუალებები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	56 587	64 962

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი

გიორგი ფეზუაშვილი



თბილისი, საქართველო

25 სექტემბერი, 2020

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „დ.ს. ესთეით“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობების და დებულებების შესაბამისად. კომპანიის რეგისტრაციის მისამართი არის ძველი თბილისის რაიონი, ტ. შევჩენკოს ქ. N1, თბილისი, საქართველო. კომპანია დაფუძნებულია 2012 წლის 17 აპრილს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სასტუმრო ბიზნესი.

2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
შპს მითჰოტელ ლიმიტედ, HE 368595 (კვიპროსი)	49.0%	49.0%
თეა ნაფეტვარიძე	25.5%	25.5%
თეონა გვარამაძე	25.5%	25.5%

კომპანიის დირექტორი არის გიორგი ფეხუაშვილი, რომელს უშალოდ ჩართულია კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მართვაში.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ქვემოთ წარმოდგენილი ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის მიხედვით. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

კომპანიის ვალდებულებების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს მიღებულ სესხებს დაკავშირებული მხარეებისგან, შესაბამისად კომპანია უშვებს, რომ სასესხო ვალდებულების გადახდასთან შექმნილი პრობლემის შემთხვევაში მიიღებს მხარდაჭერას დაკავშირებული მხარეებისგან.

2020 წელს COVID 19-ის ვირუსის გავრცელებამ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კომპანიაზე.

საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 21 მარტს მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანაში გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა. აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე კომპანია იძულებული გახდა შეეჩერებინა საქმიანობა. იქიდან გამომდინარე, რომ თბილისის სასტუმროები ნაკლებად არიან დამოკიდებულნი შიდა ტურიზმზე და ძირითადი მამოძრაველი ძალაა საერთაშორისო ვიზიტორები კომპანია თვლის, რომ საქართველოში რეგულარული ფრენების აღდგენამდე შეუძლებელი იქნება საქმიანობის განახლება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ფასს 16 - იჯარა

2016 წლის იანვარში ბასს-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 "იჯარა", რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. ახალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარეებისთვის. თუმცა, მოიჯარეებს იგი ავალდებულებს იჯარების უმეტესობის თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ "მოკლევადიანი" იჯარები და იჯარები "დაბალი ღირებულების მქონე აქტივებით". ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ხარჯისა და საამორტიზაციო ანაზღაურების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფასს 16-ზე გადასვლას არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მოგების გადასახადი

გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახადი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

ნასესხები თანხები

ნასესხები თანხები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენას, აშენებას ან წარმოებას, რასაც აუცილებლად სჭირდება დროის დიდი პერიოდი, რათა მზად იყოს თავისი ფუნქციური გამოყენებისათვის ან გაყიდვისათვის, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯები ჩაითვლება ხარჯებში იმ პერიოდისათვის, როდესაც ისინი ხორციელდება. სასესხო ხარჯები შედგება სარგებლისა და სხვა ხარჯებისგან, რასაც პირი გასწევს თანხების სესხებასთან დაკავშირებით. კომპანიას ნასესხები აქვს თანხები ბანკისგან თავისი ძირითადი საქმიანობების დასაფინანსებლად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილ გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებლის და არანაზღაურებადი შეძენის გადასახდების და სხვა პირდაპირ მიკუთვნებული გადასახდების ჩათვლით. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

წარმოების, საიჯარო ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის ან ჯერ არ განსაზღვრული მიზნებისათვის მშენებლობის პროცესში მყოფი ქონება აისახება შეძენის ფაქტობრივი ღირებულებით, აღიარებული მატერიალური ფასეულობის გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ფასი მოიცავს პირდაპირ მიკუთვნებულ ხარჯებს, ადგილმდებარეობის მომზადებას, დამონტაჟების და აწყობის ხარჯებს, კვალიფიცირებადი აქტივების პროფესიულ მოსაკრებლებს, აგრეთვე სასესხო ხარჯებს, რომლებიც კაპიტალიზდება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად.

ქონების და აღჭურვილობის კომპონენტის, რომელიც ცალკე აღირიცხება, შესაცვლელი ხარჯები კაპიტალიზდება ჩამოწერილი კომპონენტების საანგარიშო ღირებულებით. სხვა მომდევნო ხარჯი კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი წარმოიშობა ამ ხარჯებისგან. ყველა სხვა ხარჯი აღიარებულია შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

საკუთრებაში არსებული მიწა არ ამორტიზირდება. ყველა სხვა აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალების ჯგუფი

სასარგებლო პერიოდის ვადა

შენობა-ნაგებობები	20 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4-10 წელი
სანტრასპორტო საშუალებები	3 წელი
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ირიცხება ცვეთა

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელიც შეძენილია კომპანიის მიერ და რომელთაც აქვთ განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადები, ნაჩვენებია საბალანსო ღირებულებით, დაგროვილი საამორტიზაციო და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. კომპანია ფლობს პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლის ამორტიზაციას განსაზღვრულია შემცირებული ბალანსის მეთოდით წლიური 15%-ით, ასევე კომპანია ფლობს კომპანიის ლოგოს, რომლის ამორტიზაციას განსაზღვრება მსგავსად, შემცირებადი ბალანსის მეთოდით წლიური 15%-ით.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე.

მომველებული მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

საპენსიო და სხვა ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს ცალკე საპენსიო სქემა საქართველოს სახელმწიფო საპენსიო სისტემის გარდა. კომპანიას არ აქვს გათვალისწინებული საპენსიო შეღავათები.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება დამფუძნებლის მიერ კაპიტალში განხორციელებული შენატანებისგან და დაგროვილი მოგებისგან, კომპანიას არ აქვს დამფუძნებლის მიერ განხორციელებული შენატანები კაპიტალში. კომპანიას არ აქვს ვალდებულება მინიმალურ საწესდებო კაპიტალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება საწარმოში და ამონაგების შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი, იმის მიუხედავად როდის ხდება გადახდა.

ამონაგები საქონლის და მომსახურების რეალიზაციიდან

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება, როცა ხდება კლიენტისთვის საქონლის მიწოდება და საკუთრების უფლების გადაცემა. შემოსავალი არის საქონლის საფასურად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას გამოკლებული უკან დაბრუნებები, ფასდაკლებები და გაყიდვებზე დამოკიდებული გადასახადები (მაგალითად: დღგ)

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ქონება, ქარხანა და აღჭურვილობა, არამტერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელის გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

	2019	2018
<i>წლის საშუალო გაცვლითი კურსი</i>		
1 USD/GEL	2.8192	2.5345
1 EUR/GEL	3.1553	2.9913

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს საბალანსო ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები. კომპანიამ იმსჯელა ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადების დადგენაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება აქტივების მოსალოდნელ ფიზიკური მწარმოებლობის მოცულობასთან და მოსალოდნელ ფიზიკურ ამორტიზაციასთან კავშირში, რაც დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორებზე. თუმცა მენეჯმენტმა განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები აქტივებში განთავსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშში მოყვანილ ციფრებზე.

5. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია.

მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

ა) არსებობის განმარტება - შესწორებები ბასს 1- სა და ბასს 8- ში;

ბ) ბიზნესის განმარტება - შესწორებები ფასს 3- ში;

შპს „დ.ს. ესთეით“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

გ) შესწორებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში;

დ) აქტივების რეალიზაცია ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში- შესწორებები ფასს 10- სა და ბასს 28-ში ი;

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არა სარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

	31.დეკ.19	31.დეკ.18
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	21 099	29 856
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	4 488	13 778
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	31 000	21 328
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	56 587	64 962

7. სავაჭრო მოთხოვნები

	31.დეკ.19	31.დეკ.18
სავაჭრო მოთხოვნები	14 037	48 078
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი		(5 033)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	14 037	43 045

8. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31.დეკ.19	31.დეკ.18
სამზარეულოს ინვენტარი	195 836	199 728
სასტუმროს მარაგები	141 269	162 733
ნედლეული	115 715	153 904
სხვა	9 986	8 117
სულ მარაგები	462 806	524 482

9. გაცემული სესხები

კომპანიის გაცემული სესხები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჰქონია.

10. წინასწარ გადახდილი თანხები

კომპანიის წინასწარ გადახდილი თანხები შედგება მომწოდებლებისთვის გადახდილი სახსრებისგან, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი არის სასტუმროს ინვენტარისა და კეთილმოწყობისთვის.

შპს „დ.ს. ესთეით“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

11. ძირითადი საშუალებები

კომპანია აღრიცხავს ძირითად საშუალებებს თვითღირებულებით. კომპანიას არ აქვს სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები.

	შენიშვნა-ნაგებობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
საბალანსო ღირებულება						
31.დეკ.18	9 324 779	9 195	46 212	1 316 377	1 316 897	12 013 460
მატება	1 835 225	26 555		119 775	306 967	2 288 522
კლება და კუმულურულ შორის მოძრაობა		(9 194)		(700)	(1 623 864)	(1 633 758)
31.დეკ.19	11 160 004	26 556	46 212	1 435 452	-	12 668 224

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება

31.დეკ.18	(585 323)	(5 097)	(2 701)	(315 213)		(908 334)
მიმდინარე ცვეთა	(472 227)	(6 612)	(6 602)	(216 970)		(702 411)
ცვეთის ამობრუნება		6 546		659		7 205
31.დეკ.19	(1 057 550)	(5 163)	(9 303)	(531 524)	0	(1 603 540)

ნარჩენი ღირებულება

31.დეკ.18	8 739 456	4 098	43 511	1 001 164		11 105 126
31.დეკ.19	10 102 454	21 393	36 909	903 928		11 064 684

12. კრედიტორული დავალიანება

კომპანიის კრედიტორული დავალიანება 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31.დეკ.19	31.დეკ.18
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან უცხოურ ვალუტაში	970 435	1 231 205
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ეროვნულ ვალუტაში	260 216	179 291
გადასახდელი ხელფასები	95 330	40 330
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1 325 981	1 450 826

კომპანიის კრედიტორულ დავალიანებებს არ ერიცხებათ საპროცენტო ხარჯი.

13. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31.დეკ.19	31.დეკ.18
დარიცხული საპროცენტო ვალდებულება			978 768	749 299
სესხები დაკავშირებული მხარისგან	11%-20%	USD	16 972 087	15 810 815
სულ მიღებული სესხი			17 950 855	16 560 114

14. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან და დაგროვილი ზარალისგან. კომპანია გასცემს დივიდენდს მხოლოდ მაშინ როდესაც დაუგროვდება გაუნაწილებელი მოგება.

შპს „დ.ს. ესთეით“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

15. შემოსავალი

	31.დეკ.19	31.დეკ.18
შემოსავალი სასტუმროს მომსახურებიდან	5 890 908	4 765 179
სხვა შემოსავალი	63 684	25 924
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	5 954 592	4 791 103

16. რეალიზაციის თვითღირებულება

	2019	2018
პირდაპირი ხელფასი	1 038 483	898 316
ძირითადი მასალების დანახარჯები	836 176	650 369
ცვეთის ხარჯი	686 055	466 291
კომუნალური ხარჯები	252 217	170 991
დამხმარე მასალების დანახარჯები	119 793	121 356
სამრეცხაოს დანახარჯები	118 735	95 418
სატრანსპორტო ხარჯები	69 596	57 271
ღონისძიების მოწყობის ხარჯები	32 290	54 229
სხვა		3 940
	3 153 344	2 518 181

17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	153 424	179 758
საკანცელარიო და სხვა ხარჯი	5 088	178 786
სხვა საგადასახადო ხარჯი	110 983	101 196
საკონსულტაციო ხარჯები	85 278	95 743
საბანკო ხარჯები	95 208	79 651
საიჯარო ქირა	77 658	70 180
კეთილმოწყობა		53 067
რეკლამის ხარჯები	45 440	33 596
საკონსულტაციო ხარჯები (EBIT-იდან)	10 164	22 347
ცვეთა და ამორტიზაცია	19 311	19 552
კომპიუტერის ხარჯები	17 293	13 151
კომუნიკაციის ხარჯები	20 377	4 419
დაზღვევა		758
რემონტი	20 095	76
ოთახებისთვის ხარჯი	31 538	
რესტორნისთვის ხარჯი	36 048	
დიზაინი (ინტერიერი, ლოგო)	23 352	
სხვა ხარჯები	52 192	
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	803 449	852 280

18. სხვა საოპერაციო ხარჯები

შპს „დ.ს. ესთეით“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	31.დეკ.19	31.დეკ.18
სასტუმროს დაჯავშნის საკომისიო ხარჯები	479 265	423 389
სხვა		25 594
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	479 265	448 983

19. საკურსო მოგება / (ზარალი)

	31.დეკ.19
დადებითი საკურსო სხვაობა	6 081
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(1 269 133)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	(1 263 052)

20. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. რისკის უმთავრესი სახე არის საკრედიტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი, საბაზრო რისკი, საოპერაციო რისკი და სხვა არაფინანსური რისკები.

რისკის მართვაზე პასუხისმგებელი პირების მოვალეობაა, უზრუნველყონ, რომ კომპანია აკმაყოფილებდეს დასაშვებ რისკის დონეს.

კომპანიის მიერ გამოყენებული და ფინანსურ რისკთან დაკავშირებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

	31.დეკ.19	31.დეკ.18
ფული და ფულის ექვივალენტები (საღაროში არსებული ნაღდი ფულის გამოკლებით)	25 587	43 634
დებიტორული მოთხოვნები	14 037	43 044
მიღებული სესხები	(16 972 087)	(16 560 115)
კრედიტორული დავალიანება	(1 325 981)	(1 450 825)

უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც აშშ დოლარშია დენომინირებული, აგრეთვე აშშ დოლარში დენომინირებული ნასესხები თანხებიდან.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის მოწოდებული კომპანიის ხელმძღვანელობისთვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

შპს „დ.ს. ესთეით“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

31.დეკ.19	ლარი	აშშ დოლარი	სხვა	სულ
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	52 099		4 488	56 587
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14 037			14 037
სულ ფინანსური აქტივები	66 136	-	4 488	70 624
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები		(16 972 087)		(16 972 087)
სხვა ვალდებულებები	(1 325 981)			(1 325 981)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(1 325 981)	(16 972 087)	0	(18 298 068)
ღია საბალანსო პოზიცია	(1 259 845)	(16 972 087)	4 488	(18 227 444)

31.დეკ.18	ლარი	აშშ დოლარი	სულ	
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	51 184		13 778	64 962
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	43 045			43 045
სულ ფინანსური აქტივები	94 229	-	13 778	108 007
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები		(16 560 115)		(16 560 115)
სხვა ვალდებულებები	(1 450 826)			(1 450 826)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(1 450 826)	(16 560 115)	0	(18 010 941)
ღია საბალანსო პოზიცია	(1 356 597)	(16 560 115)	13 778	(17 902 934)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, როდესაც სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანიას არ ემუქრება მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი, რამდენადაც კომპანიის სესხები და ნასესხები თანხები არის ფიქსირებული, დადგენილი საპროცენტო განაკვეთით.

	31.დეკ.19	31.დეკ.18
სულ სარგებლიანი ფინანსური აქტივები	-	-
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები	(16 972 087)	(16 560 115)
სულ ფინანსური აქტივები	(16 972 087)	(16 560 115)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება.

კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას.

21. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან მისი მფლობელები, ძირითადი ხელმძღვანელობა, კომპანიის სხვა მფლობელების საკუთრებაში არსებული სხვა კომპანიები. შეძენა და მიყიდვა დაკავშირებული მხარეებიდან და მათზე ხორციელდება იმ პირობების ექვივალენტი პირობებით,

შპს „დ.ს. ესთეით“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

რაც უპირატესია დამოუკიდებელ მხარეებს შორის დადებულ ტრანზაქციებში. კომპანიას არ აღურიცხია დებიტორული დავალიანებების გაუფასურება, იმ თანხებთან დაკავშირებით, რასაც დაკავშირებული მხარეები ფლობენ. აღნიშნული შეფასება ხორციელდება ყოველ ფინანსურ წელს დაკავშირებული მხარის ფინანსური მდგომარეობის და იმ ბაზრების გამოკვლევით, სადაც ფუნქციონირებს დაკავშირებული მხარე.

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან არის შემდეგი:

	31.დეკ.19	31.დეკ.18
საპროცენტო ხარჯები	(1 848 559)	(1 598 456)
საპროცენტო შემოსავლები		12 725
სულ	(1 848 559)	(1 585 731)

ძირითადი მენეჯმენტის კომპენსაცია:

	31.დეკ.19	31.დეკ.18
ხელფასები	62 002	42 596
სულ	62 002	42 596

კომპანიის აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან.

	31.დეკ.19	31.დეკ.18
საპროცენტო ხარჯები	16 972 087	16 560 115
საპროცენტო შემოსავლები		

22. სახელშეკრულებლო და პირობითი ვალდებულებები

კომპანიას აქვს განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განმარტებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით ხასიათდება, რაც ხანდახან საკმარისად ნათელი არ არის და სხვადასხვა განმარტებებს ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია რაიმე ვალდებულების დაკისრება დამატებითი გადასახადების, ჯარიმის ან პირგასამტეხლოს გადასახდელად, თუ იმ წლის დასასრულიდან, როდესაც დარღვევა მოხდა, სამი წელია გასული. ასეთი გარემოებები, რომლებსაც საქართველოში საგადასახადო რისკებისკენ მივყავართ, არის უფრო მაღალი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ყველა შესაძლო საგადასახადო პირობითი ვალდებულება ინახება და აღნიუსხება კომპანიის მიერ სათანადოდ.

კომპანია ექვემდებარება სამართლებრივ სარჩელებს და საჩივრებს, მაგრამ მიჩნეულია, რომ კომპანია არ დაექვემდებარება მნიშვნელოვან საჩივრებს, რასაც კომპანიის ფინანსურ ანგარიშებზე არსებითი გავლენა ექნება.

23. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.

შპს დ.ს. ესთეით

მმართველობითი ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის



შპს დ.ს. ესთეით

მმართველობითი ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია	2
კომპანიის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა	5
ძირითადი რისკები	6

შპს დ.ს. ესთეით

მმართველობითი ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს დ.ს. ესთეით-ი დაარსდა 2012 წლის 12 აპრილს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონის და კომპანიის წესდების საფუძველზე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება.

კომპანია წარმოდგენილია ბუტიკ სასტუმრო შოთა@რუსთაველის და რესტორანი მელოგრანოს სახით. სასტუმროს ამ ეტაპისთვის აქვს 55 ნომერი.

2. კომპანიის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანიის განვითარების გეგმები არ ითვალისწინებს საქმიანობის ტიპის ცვლილებას. კომპანია მუდმივად ზრუნავს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდაზე.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ქვემოთ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური ინფორმაცია:

შპს დ.ს. ესთეით

მმართველობითი ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	განმარტებითი შენიშვნები	31.დეკ.19	31.დეკ.18
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	56 587	64 962
დებიტორული მოთხოვნები	7	14 037	43 044
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	462 806	524 482
გაცემული სესხები	9	-	-
წინასწარ გადახდილი თანხები	10	75 582	403 368
საგადასახადო აქტივები, მოგების გადასახადის გარდა		54 048	7 411
სულ მიმდინარე აქტივები		663 061	1 043 267
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები		9 576	12 288
გაცემული სესხები		-	-
ძირითადი საშუალებები	11	11 064 684	11 105 126
სულ გრძელვადიანი აქტივები		11 074 260	11 117 414
სულ აქტივები		11 737 320	12 160 681
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	12	1 325 981	1 450 825
მოგების გადასახადის ვალდებულება		11 172	46 302
სხვა საგადასახადო ვალდებულება, მოგების გადასახადის გარდა		119 374	-
მიღებული სესხები	13	978 767	749 299
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	2 435 295	2 246 426
მიღებული სესხები	13	16 972 087	15 810 816
სულ ვალდებულებები		19 407 382	18 057 242
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	100	100
აკუმულირებული ზარალი		(7 670 162)	(5 896 661)
სულ კაპიტალი		(7 670 062)	(5 896 561)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11 737 320	12 160 681

შპს დ.ს. ესთეით

მმართველობითი ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	განმარტებითი შენიშვნები	2019	2018
შემოსავლები	15	5 954 592	4 791 103
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16	(3 153 344)	(2 518 181)
საერთო მოგება		2 801 249	2 272 922
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(803 449)	(852 281)
სხვა საოპერაციო ხარჯები	18	(479 265)	(448 983)
სხვა საოპერაციო შემოსავალი			56 595
საოპერაციო მოგება		1 518 535	1 028 253
საპროცენტო შემოსავალი	9		12 725
საპროცენტო ხარჯი	13	(1 848 559)	(1 598 456)
საჯურსო მოგება / (ზარალი)	19	(1 263 052)	(610 418)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	20		142 097
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(174 077)	(60 508)
ზარალი დაბეგვრამდე		(1 767 153)	(1 086 308)
მოგების გადასახადის ხარჯი		(6 347)	(6 226)
წლის წმინდა ზარალი		(1 773 501)	(1 092 534)
სხვა სრული შემოსავალი			
წლის სრული ზარალი		(1 773 501)	(1 092 534)

2019 წელს კომპანიის საოპერაციო მოგება 2018 წელთან შედარებით გაიზარდა 490 282 ლარით, რაც 32%-იანი ზრდაა.

კომპანიის საერთო მოგების მარჯა, რომელიც დათვლილია საერთო მოგების შეფარდებით შემოსავალთან, 2019 წელს ისევე როგორც 2018 წელს შეადგინა 47%.

დებიტორული დავალიანების ამოღების პერიოდი, რომელიც დათვლილია დებიტორული დავალიანების შეფარდებით შემოსავალთან და 365 დღეზე ნამრავლით, 2018 წელს იყო 3 დღე, ხოლო 2019 წელს არის 1 დღე.


კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი, რომელიც დათვლილია კრედიტორული დავალიანების შეფარდებით რპთ-სთან და 365 დღეზე ნამრავლით, 2018 წელს იყო 210 დღე, ხოლო 2019 წელს არის 153 დღე.

შპს დ.ს. ესთეით

მმართველობითი ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

3. კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა



შპს დ.ს. ესთეთ

მმართველობითი ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

4. ძირითადი რისკები

კომპანია თავის რისკს განსაზღვრავს, როგორც ნებისმიერ პოტენციურ მოვლენას, რომელსაც შესაძლოა ქონდეს უარყოფითი გავლენა ბიზნესის მიზნებზე და შედეგებზე.

შიდა და გარე რისკები

2020 წელს COVID 19-ის ვირუსის გავრცელებამ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში მნიშვნელობანი გავლენა იქონია კომპანიაზე.

საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 21 მარტს მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანაში გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა. აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე კომპანია იძულებული გახდა შეეჩერებინა საქმიანობა. იქიდან გამომდინარე, რომ თბილისის სასტუმროები ნაკლებად არიან დამოკიდებულნი შიდა ტურიზმზე და ძირითადი მამოძრაველი ძალაა საერთაშორისო ვიზიტორები კომპანია თვლის, რომ საქართველოში რეგულარული ფრენების აღდგენამდე შეუძლებელი იქნება საქმიანობის განახლება.

იქიდან გამომდინარე, რომ სასტუმრო და რესტორანი მდებარეობს საქართველოს პარლამენტის გვერდით ნებისმიერი სახის მანიფესტაცია, გზის პიკეტირება და მსგავსი სახის მოვლენები პირდაპირ მოქმედებს ჩვენს საქმიანობაზე.

ქვეყნის დამაბული ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან პირდაპირ გავლენას ახდენს ამ ქვეყნებიდან ვიზიტორთა რაოდენობაზე, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკია სასტუმროს და სარესტორნო ბიზნესისთვის.

სავალუტო რისკი

ვალუტის დევალვაცია იწვევს ფასების ზრდას ძირითადი მოხმარების პროდუქციაზე, რაც ამცირებს მომხმარებლის მსყიდველობით უნარს, შესაბამისად იკლებს იმ თანხების

შპს დ.ს. ესთეით

მმართველობითი ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

რაოდენობა, რომელიც მომხარებელმა შეიძლება გამოყოს ჩვენი პროდუქციის და მომსახურების შეძენაზე.

დირექტორი

გიორგი ფეზუაშვილი

თბილისი, საქართველო

25 სექტემბერი, 2020

